6751/3-113/22 2 25072022

6751/3-113/22
25-07-2022

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს
თეა წულუკიანს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის სასახლის რეაბილატაციისთვის დახარჯული თანხების შესახებ; რა დაჯდა სრულად შენობის რეაბილიტაცია და რა სახის სამუშაოები იქნა ჩატარებული.

საგულისხმოა, რომ დღეს ნიკოსეული სასახლისთვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სადრენაჟო სისტემის არ არსებობა, რაც წვიმიან ამინდში იწვევს სასახლის სარდაფის ტბორვას და საფრთხეს უქმნის შენობას. გთხოვთ გვაცნობოთ იგეგმება თუ არა სამინისტროს მიერ სასახლის სადრენაჟო სისტემის მონტაჟი და რა ნაბიჯებს დგამს სამინისტრო ამ პრობლემის გადასაჭრელად.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე